

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი; 1984 წლის 15 დეკემბერი №12 მუხლი 412) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 151¹ მუხლი:

„მუხლი 151¹. ხმაურის დასაშვები დონის გადამეტება

1. სამუწარმოო საქმიანობის განხორციელებისას ხმაურის დასაშვები დონის გადამეტება, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ხმაურის ზემოქმედების სხვა სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის (ხმაურის წყაროს) კონფისკაციით.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹ და 42² მუხლებით, 43-ე, 44², 44⁵, 44⁶, 45-ე-56-ე, 57-ე-69-ე, 71-ე-86-ე, 88-ე-91², 92², 94-ე-100², 103-ე-105¹, 125¹, 128¹, 128², 143-ე-144¹, 144³-144⁵, 146¹, 148-ე, 149-ე, 150-ე, 150¹, 151-ე, 151¹, 152-ე, 152², 153-ე, 153¹, 153³, 154-ე, 154¹, 154², 155¹-156-ე, 157¹-158¹, 159-ე-159⁹, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171¹, 173¹⁰, 173¹¹, 174¹, 174⁵, 174⁸-174¹⁴, 177⁸, 177⁹, 178-ე, 179¹-183-ე, 187-ე-187², 189-ე, 191-ე მუხლებით (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196²-196⁶, 197¹ მუხლებით.“.

3. 239-ე მუხლის:

ა) მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ კოდექსის 43-ე, 51³, 53³, 55-ე, 55², 55³ მუხლებით, 60¹ მუხლის პირველი ნაწილით, 119¹, 125¹, 135-ე, 146¹, 148-ე, 149-ე, 150-ე, 150¹, 151-ე, 151¹, 152-ე, 152², 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს აღგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.“

ბ) 27-ე ნაწილი ამოღებულ იქნეს.

ვ) 44-ე ნაწილი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი